№2509 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, ფიზიკურ პირს ბადრი არეშიძეს (პ/ნ №01006007706) საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ყვარლის რაიონში, სოფელ ახალსოფელში მდებარე 9512 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ №57.02.66.360) ბადრი არეშიძის საკუთრებაში არსებული ლაგოდეხის რაიონში, სოფელ არეშფერანში მდებარე 9512 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №54.15.52.216) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

2. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**